

გარემო, ხალხის ჩვევები და ბიომრავალფეროვნება „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ (ALDA) პროექტების ცენტრში „ქალაქების ბუნების ფესტივალზე“ (TNOC)

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია“ (ALDA) შეუერთდა „ქალაქების ბუნების ფესტივალს“ (TNOC) როგორც 2022 წლის პარტნიორი.

„ქალაქების ბუნების ფესტივალმა“ (TNOC) გააშუქა ფესტივალის სამ დღიანი აქტივობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც ყურადღება გამახვილდა რამდენიმე ტრანსდისციპლინარულ საკითხზე, მათ შორის გარემოსა და სოციალურ სამართლიანობაზე. „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ (ALDA) დღის წესრიგი ფესტივალის ფარგლებში მდიდარი იყო შინაარსითა და ღონისძიებებით, განსაკუთრებული აქცენტით წყალზე, ბიომრავალფეროვნებაზე, სოფლის მეურნეობასა და კლიმატზე. ასოციაციის გამოცდილებიდან და განხორციელებული პროექტების მიღწევებიდან გამომდინარე ასოციაცია აქტიურად მონაწილეობდა ფესტივალში და წარმოადგინა ოთხი განსხვავებული პროექტი: „წყლის უკეთესი მენეჯმენტი ევროპაში გამძლე თემების განვითარებისთვის“ („Life BEWARE“) ; „ცენტრალურ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის მცირე კესტრის პოპულაციების გამრავლების დიაპაზონის გაფართოების ხელშეწყობა“ („Life FALKON“) ; „სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა- საერთო საგანმანათლებლო რესურსები იტალიაში“ („CAP-PERI“) და „ცვლილებების კლიმატი“ („Climate of Change“).

პროექტი „წყლის უკეთესი მენეჯმენტი ევროპაში გამძლე თემების განვითარებისთვის“ („Life BEWARE“) ფესტივალზე წარსდგა ორი სესიით, რომელიც ეძღვნებოდა კლიმატის მდგრადობას და ქალაქებს, კერძოდ: „ქალაქების ხელახალი ფორმირება - როგორ შეუძლიათ ურბანულ ტერიტორიებს გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილებას“ და „ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები უფრო გამძლე/მდგრადი ტერიტორიისთვის“. პირველი სესია გაიმართა 29 მარტს 16-დან 17:30 საათამდე ცენტრალური ევროპული დროით.

ფესტივალზე ყურადღება გამახვილებული იყო როგორია ქალაქების მდგრადობა კლიმატის ცვლილების კვალკდაკვალ. ოთხი „სიცოცხლის პროექტის“ („Life Projects“) მეშვეობით, გამოიკვეთა სხვადასხვა გზები და საუკეთესო პრაქტიკა, რომლითაც ურბანული ტერიტორიები წარმატებით გადაჭრიან კლიმატის ცვლილებების საკითხს ინოვაციური გზებით. გარდა ამისა, ოთხი პროექტის ჩართულობას და თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გათვალისწინებით, რომ წელს არის „სიცოცხლის პროგრამების“ ოცდაათი წლის იუბილე. სესიებს უძღვებოდნენ ფასილიტატორები შემდეგი თემებით:

ჯულიო პესენტი – პროექტი "LIFE BEWARE" :მერების ადაპტაციის სტრატეგია და მისი შემუშავება მათი აქტიური მონაწილეობით; **ვალერია ფანტინი** – „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია”(ALDA) ; **მარია როზარია სკოპეტულო** და **ვალერია გუერინი**– პროექტი **LIFE METRO ADAPT** : ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დანერგვა მილანის მეტროპოლიტენში; **დანიელა ლუსი** და **ჯოვანი ვისენტინი** პროექტი **LIFE VENETO ADAPT** : ადაპტაციის ღონისძიებების ინტეგრირება არსებულ ურბანულ გეგმებში, როგორცაა მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმები (Sustainable Energy Action Plans) და **ანდრეა პაინდელი** პროექტი **LIFE BAETULO** : ქალაქში ადრეული გაფრთხილების ინტეგრირებული (და მრავალ საფრთხის შემცველი) სისტემის გამოყენება.

30 მარტს, 16:00 საათიდან 17:30 საათამდე, ჩატარდა მეორე სესია სახელწოდებით „ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები უფრო გამძლე/მდგრადი ტერიტორიისთვის” - როგორ შეუძლიათ მუნიციპალიტეტებს უკეთ განახორციელონ ისინი?“. სესია ორიენტირებული იყო ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) გამეორების ხელშეწყობასა და წახალისებაზე, რაც გულისხმობს ბუნებრივი და მოდიფიცირებული ეკოსისტემების დაცვას, მდგრადი მართვისა და აღდგენის ქმედებებს, რომლებიც აგვარებენ სოციალურ გამოწვევებს ეფექტურად და ერთდროულად უზრუნველყოფენ ადამიანის კეთილდღეობასა და ბიომრავალფეროვნების სარგებელს. სამუშაო შეხვედრა ჩატარდა პადუას უნივერსიტეტის ტერიტორიისა და აგრო-ტყის სისტემების დეპარტამენტის (TESAF) ტექნიკოსებისა და პროფესორების მიერ და მიმართული იყო ევროკავშირის მუნიციპალიტეტებისთვის. სემინარის მიზანი იყო ადგილობრივ ხელმძღვანელებისთვის ესწავლებინათ, უკეთ როგორ განახორციელონ მდგრადი მართვისა და აღდგენის ქმედებები თავიანთ ტერიტორიაზე. ღონისძიების მთავარ ექსპერტებს შორის აგრეთვე იყვნენ რამდენიმე პროფესიონალი პადუას უნივერსიტეტიდან: **ლუჩია ბორტოლინი** , **ფრანჩესკო ბეტელა** და **ფრანჩესკო პალიაჩი** .

„ქალაქების ბუნების ფესტივალმა” (TNOC) გააშუქა ფესტივალის სამ დღიანი აქტივობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც ყურადღება გამახვილდა რამდენიმე ტრანსდისციპლინარულ საკითხზე, მათ შორის გარემოსა და სოციალურ სამართლიანობაზე.

პროექტის „ცენტრალურ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის მცირე კესტრის პოპულაციების გამრავლების დიაპაზონის გაფართოების ხელშეწყობა” ("Life FALKON") ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ეხებოდა სამ ძირითად ასპექტს, ესენია: არასწორი განათება, ურბანული განვითარება, ადამიანთა თანაცხოვრება. მთლიანობაში, პროექტის ორი სემინარი, რომელიც ონლაინ გადაიცემოდა „ბუნების ქალაქების ფესტივალის” ფარგლებში, მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ფრინველებისთვის მეგობრული ქალაქების დაგეგმვის მნიშვნელობაზე. უფრო დეტალურად, პირველი "WINGED CITIES 1 - ჩიტები და ურბანული ცხოვრების გამოწვევები", დაიწყო 2022 წლის 30 მარტს დილის 11 საათზე. მონაწილეებმა მოისმინეს ფრინველების წინაშე არსებული გამოწვევები ურბანულ გარემოში თანაარსებობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დაბინძურებისა და ურბანიზაციის

ფონზე. პროექტის "LIFE FALKON" კოორდინატორმა მიქელანჯელო მორგანტმა CNR-IRSA Consiglio Nazionale delle Ricerche-დან, ხუან ხოსე ნეგრმ CSIC-EBD-დან, დევიდ დომინონმა გლაზგოს უნივერსიტეტიდან, დენ ჩემბერლენმა ტურინის უნივერსიტეტიდან - პროექტს ღირებული ინფორმაცია მიაწოდა.

უფრო მეტიც, მეორე „WINGED CITIES 2 - პრაქტიკული საკითხები ფრინველებზე კეთილგანწყობილი ქალაქებისთვის“ ეხებოდა სტრატეგიებსა და ქმედებებს, რათა შეიქმნას კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ფრინველებზე. გაზიარებული იქნა ზოგიერთი შემთხვევის შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკა, პროექტის "LIFE FALKON" მიერ განხორციელებული აქტივობებიდან. რაც შეეხება წინა სემინარს, მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს : "LIFE FALKON"-ის პარტნიორებმა რულა ტრიგუმ და ნიკოს ციოპელასიმ - HOS/BirdLife - საბერძნეთის ორნიტოლოგიური საზოგადოებიდან და ანდრეა პიროვანომ - Progetto Natura-დან.

ფაუნდიდან და ბიომრავალფეროვნებიდან გადავიდეთ სოფლის მეურნეობაზე. პროექტმა ; „სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა- საერთო საგანმანათლებლო რესურსები იტალიაში“ ("CAP-PERI"), რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეების ცოდნის გაზრდას საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასა და მდგრადობის შესახებ, წარმოადგინა ათი (10) განსხვავებული სესია: ხუთი სესია ჩატარდა ექსპერტებთან და მოეწყო ხუთი ვირტუალური საველე მოგზაურობა. სემინარმა „თეატრი და ურბანული რეგენერაცია: მდუმარე პიესა“ აჩვენა მონაწილეობითი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ თემებს და მათ ურთიერთობას ტერიტორიასთან; ხოლო „უნარები და კომპეტენციები სოფლის მეურნეობის მდგრადობისთვის“ ასახავდა სოციალური კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებას მდგრადობის, კომპეტენციებისა და უნარების ასამაღლებლად. გარდა ამისა, „სასწავლო ბუმტები“ ყურადღებას ამახვილებდა მეთოდოლოგიურ სისტემაზე, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტების სწავლებაზე ხელმისაწვდომობის აღდგენას.

ასევე, ევროკავშირის ინიციატივები და მონაწილეთა გამოცდილება განიხილეს სპეციალურ სესიაზე, სახელწოდებით „რჩევები უფრო მდგრადი სტუდენტური ცხოვრების წესისთვის“. ბოლოს სხდომა დაიხურა „ორგანული მეურნეობა და ხმელთაშუა ზღვის დიეტის მნიშვნელობა გულ-სისხლძარღვთა და მეტაბოლური დაავადებების პრევენციისთვის“ სესიით. საველე ექსკურსიები იყო შესაძლებლობა ურბანული ბაღების აღმოჩენისა პალერმოში, რომში და მესანიაში და მონაწილეობითი აქტივობების განხორციელებისა სამხრეთ მილანის სასოფლო-სამეურნეო პარკში და კარპანედას ურბანულ მხარეში, ვიჩენცაში.

მთავარ მომხსენებლებს შორის იყვნენ: კარლო პრესოტო (LaPiccioniaia), პაოლა როსი, კარლო ბასილიო ბონიჩი, ვალენტინა ანზოიზი, ალესანდრო დი დონა, ანდრეა მესორი (Replay Network), კატერინა იმპასტატო (CESIE), ალესანდრო დისტანტე (ISBEM), ეგერია სკოდინი, ლუსიო კოლიზი, კარმელო ფორმიკა, ელისა გროსი, ჯოვანი მეცალირა, გლორია მარინი (LaPiccioniaia) და ჟანკარლოს სტელინი (Artisti per il Sociale).

ბოლოს, „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციამ“ (ALDA) მონაწილეებს გაუზიარა პროექტის „ცვლილების კლიმატი“ შედეგები, რომელიც ფოკუსირებულია გარემოსდაცვითი და მიგრაციის საკითხებზე, ამავედროულად ხაზი გაუსვა თანმიმდევრული და ერთიანი მოქმედების

აუცილებლობას, რაც ნაჩვენებია იყო მიკრო მოლაპარაკებებსა და დოკუმენტურ ფილმში, რომელიც შეიცავს ყველა ინფორმაციას პროექტის, კამპანიისა და პეტიციის შესახებ.

გარდა ამისა, წარმოდგენილი იყო პროექტის შესახებ ინტერაქტიული პრეზენტაციები და ორი ვირტუალური ვიზიტი **მწვანე სივრცეებში სტრასბურგსა და ბრიუსელში**, სადაც ხაზგასმულია ადამიანებსა და გარემოს შორის კავშირის მნიშვნელობა, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და ადგილობრივ აქტივობებზე.

მთლიანობაში, ეს ფესტივალი იყო შესაძლებლობა გაცნობოდნენ „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ (ALDA) პროექტების ცენტრალურ თემას და ამავდროულად, მონაწილეებს საშუალება მისცემოდა შეესწავლათ ურბანული დაგეგმარების უფრო მდგრადი ტიპი: ბიომრავალფეროვნების დაცვა, სოფლის მეურნეობის კუთხით ახალი დამოკიდებულებების გაღვივება; ურბანული ტერიტორიების განვითარება.